ევროპის აკადემიის
თბილისის რეგიონული ცენტრი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა გახლავთ ევროპის აკადემიის (Academia Europaea) პირველი ჰაბი, რომელიც ევრო-გაერთიანების არაწევრ ქვეყანაში მოქმედებს.

ამდენად, ევროპის აკადემიასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ქართულ და ევროპულ აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას შორის ორმხრივი თანამშრომლობისა და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის მიზანია ევროპის აკადემიის ღირებულებებისა და პანერვოპული ინტერესების დაცვით უზრუ-ნველყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, ახალგაზრდე-ბის დაინტერესება მეცნიერებით და ფართო საზოგადოებისთვის თანამე-დროვე სამეცნიერო მიღწევების გაცნობა. ამასთანავე, ცენტრი ხელს უწყობს ქართული მეცნიერების ევროპულ სამეცნიერო სივრცესთან ინტე-გრაციის პროცესს.

სარჩევი

3 ევროპის აკადემია

4 თბილისის რეგიონული ცენტრი

6 შეხვედრა სამეცნიერო საზოგადოებასთან

7 საჯარო ლექციები

9 ლექციათა ციკლი ნეირომეცნიერებაზე

11 შეხვედრების სერია

15 საერთაშორისო სემინარები

18 საერთაშორისო კონფერენციები

22 პუბლიკაცია

23 მეცნიერების პოპულარიზაცია

24 თანამშრომლობა

ACADEMIA EUROPAEA TBILISI

UNIVERSITAS TPHILISIENSIS 1918

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ევროპის აკადემია

ევროპის აკადემია (Academia Europaea) დაარსდა 1988 წელს როგორც მეცნიერებათა პანევროპული აკადემია და ძირითადად აერთიანებს ევროპის წამყვან მეცნიერებს, თუმცა, მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მისი წევრი შეიძლება გახდეს მეცნიერი, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, რომელსაც პროფესიული კავშირი აქვს ევროპის სამეცნიერო ინსტიტუციებთან, საპატიო წევრის სტატუსით.

დღეს ევროპის აკადემია 5500 წევრს აერთიანებს, რომელთაგან 88 ნობელის პრემიის ლაურეატია. ევროპის აკადემიის მიზანია უმაღლესი რანგის მეცნიერების ხელშე-წყობა და პოპულარიზაცია.

ცენტრები და ოფისები

ევროპის აკადემიის სათავო ოფისი მდებარეობს მიუნხენში (გერმანია), ხოლო ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) მდებარეობს მისი დამხმარე ოფისი. გრაცში (ავსტრია) მდებარეობს ევორპის აკადემიის საინფორმაციო ცენტრი. სათავო ოფისი ლონდონსა და გრაცში მდებარე წარმომადგენლობებთან ერთად ხელმძღვანელობს ევროპის აკადემიის ცენტრებს ევროპის ექვს ქვეყანაში, რომლებიც თავისმხრივ, პასუხისმგებელნი არიან თავიანთ ქვეყანაში ევროპის აკადემიის ღირებულებების დაცვით უზრუნველყონ მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაინტერესება მეცნიერებით და ფართო საზოგადოებისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გაცნობა.

თბილისის რეგიონული ცენტრი

2018 წელს, ბარსელონაში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე ევროპის აკადემიის მმართველი საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება თბილისში წარმომადგენლობის დაარსების შესახებ.

2019 წლის 24 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი და კარდიფის (ირლანდია), ბარსელონას (ესპანეთი), ვროცლავისა (პოლონეთი) და ბერგენის (ნორვეგია) შემდეგ, თბილისი მეხუთე ქალაქი გახდა, სადაც ევროპის აკადემიის ცენტრი გაიხსნა. 2020 წელს, წარმომადგენლობა დაარსდა ბუდაპეშტშიც (უნგრეთი).

თბილისის რეგიონული ცენტრი ერთადერთია, რომელიც ევროგაერთიანების არაწევრ ქვეყანაში მოქმედებს და ევროპის აკადემიას წარმოადგენს, როგორც საქართველოში, ასევე მთელს რეგიონში.

დაარსებიდან დღემდე ევროპის აკადემიის რეგიონულმა ცენტრმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, რომელთა ძირითადი მიზანი ქართულ და ევროპულ აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას შორის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ქართველი მეცნიერების ინტეგრაცია იყო.

ცენტრის სტრუქტურა

2024 წლიდან ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონულ ცენტრის აკადემიური დირექტორის თანამდებობა დაიკავა პროფ. დავით ლორთქიფანიძემ, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია – პროფ. ზაალ კოკაიამ, ხოლო აღმასრულებელი დირექტორისა – ნათია ხულუზაურმა.

ცენტრის სამეცნიერო საბჭო ევროპის აკადემიის წევრი 14 ქართველი და უცხოელი მეცნიერისგან შედგება.





სამეცნიერო საბჭოს წევრები (პირველი რიგიდან მიმდევრობით): პროფესორები დავით ლორთქიფანიძე (აკადემიური დირექტორი); ზაალ კოკაია (საბჭოს თავმჯდომარე); დავით ფრანგიშვილი; ქეთევან ჭანტურია; ევა კონდოროსი; სირდ ქლოეთინგი; ზაზა სხირტლაძე; მერაბ კოკაია; ალექსანდრე ცისკარიძე; ლადო ჭანტურია; გიორგი გეგელაშვილი; ბეჟან ჭანკვეტაძე; გიორგი შარვაშიძე; მიხეილ ჩხენკელი

შეხვედრა სამეცნიერო საზოგადოებასთან

2024 წლის 27 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება „ქართული მეცნიერება და გზა ევროპისკენ“. ღონისძიება მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის მიერ უკვე განხორციელებული პროექტების, სამომავლო გეგმებისა და ახალი პერსპექტივების შესახებ.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, ნოდარ პაპუკაშვილმა და თბილისის სახელმწიფო უნვერსიტეტის რექტორმა, აკად. ჯაბა სამუშიამ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართული სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა და კიდევ ერთხელ გამოთქვეს მზაობა ხელი შეუწყონ ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის საქმიანობას.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიურმა დირექტორმა პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ, ცენტრის აკადემიურმა დირექტორმა 2019-2023 წლებში, პროფესორმა დავით ფრანგიშვილმა და ამავე ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. ზაალ კოკაიამ საზოგადოებას წარუდგინეს, როგორც ცენტრის მიერ უკვე განხორციელებული პროექტები, ასევე, სამომავლო გეგმა. მოხსენებების შემდეგ გაიმართა პანელური დისკუსია.

საჯარო ლექციები

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრისთვის წარმოადგენს დაინტერესებული პროფესიონალებისთვის, ახალგაზრდა მეცნიერებისა და ფართო საზოგადოებისთვის თანამედროვე მეცნიერებაში მიმდინარე მოვლენების წარდგენისა და ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის ურთიერთობების გამყარების საშუალებას. საჯარო ლექციებს კითხულობენ როგორც ქართველი, ასევე, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები, რომელთაგან ზოგი თავად გახლავთ ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 2024 წლის განმავლობაში ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ექვსი საჯარო ლექცია, რომლებიც გამოირჩეოდა სამეცნიერო მიმართულებებისა და თემატიკის მრავალფეროვნებით:

მედიცინა და მეცნიერება – თსუ-ს და ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია-სემინარი „მედიცინა და ევოლუცია“. აღნიშნული სათაური აერთიანებდა ორ მნიშვნელოვან თემას: „ადამიანები აფრიკის გარეთ: ვინ? როდის? რატომ?“ და „კბილები – ადამიანის ევოლუციური წარმატების გასაღები“.

ლექციის პირველი ნაწილი წარმოადგინა თსუ-ს პროფესორმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა და ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიურმა დირექტორმა, აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ. მან საზოგადოებას ფართო ჭრილში დაანახა ადამიანის ევოლუციის გზა, ილაპარაკა აფრიკიდან მისი გავრცელების ტალღებზე და ახსნა თუ რატომ არის დმანისის არქეოლოგიური ძეგლი და იქ მოპოვებული მასალა მნიშვნელოვანი ადამიანის ევოლუციური ისტორიის შესასწავლად.

ლექციის მეორე ნაწილი წარმოადგინა თსუ-ს მოწვეულმა დოქტორმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა და საქართველოს უნივერსიტეტის სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ანა მარგველაშვილმა. მან ისაუბრა დმანისის მასალაზე, კერძოდ, ჰომინიდების ყბა-კბილთა სისტემაზე ჩატარებულ ერთ-ერთ უახლეს, ინტერდისციპლინარულ კვლევაზე და განიხილა საღეჭი სისტემისა და კბილის, როგორც ყველაზე მყარი ქსოვილის, ურთულესი ევოლუციური გზა.

"მუზეუმის კუნძული და ჰუმბოლდტის ფორუმი: პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის წინაშე მდგარი მიმდინარე გამოწვევები მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის" – ცენტრისა და გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტის, პროფ. ჰერმან პარცინგერის საჯარო ლექცია.

გერმანიისა და ევროპის უდიდესი კულტურის სფეროს ინსტიტუცია – პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი აერთიანებს ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებს, ბიბლიოთეკებსა და პრუსიის სახელმწიფო არქივს. პროფ. პარცინგერს საქართველოსთან რამდენიმე ათწლეულის თანამშრომლობა აკავშირებს. 2009-2012 წლებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდსა და მასში შემავალ ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებს შორის ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა დაძმობილების პროექტი, რომელსაც გერმანიის მხრიდან პროფ. პარცინგერი ხელმძღვანელობდა, ხოლო საქართველოს მხრიდან – პროფ. დავით ლორთქიფანიძე. ქართულ-გერმანული ურთიერთობების გაღრმავებისა და მეცნიერულ კვლევებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად 2023 წელს პროფ. ჰერმან პარცინგერი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად. წელს ვიზიტის დროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა მისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც ოფიციალურად გადაეცა წევრობის დამდასტურებელი სერტიფიკატი.

ვიზიტის ფარგლებში გამართულ საჯარო ლექციაზე პროფ. პარცინგერმა ისაუბრა იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დიდი ტრადიციის მქონე სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო ინსტიტუციები დგანან 21-ე საუკუნეში და მიმოიხილა მათი გადაჭრის გზები პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდში მიმდინარე რენოვაციის მაგალითზე.

"ევრაზიის ქალაქების გარიჟრაჟი: ახალი არქეოლოგიური პერსპექტივები" – ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით გაიმართა ევროპის აკადემიის წევრს, ედინბურგის უნივერსიტეტის აბერკრომბის არქეოლოგიის პროფესორს, მანუელ ფერნანდეს-გოთსის საჯარო ლექცია. პროფ. გოთსის კვლევის საგანია გვიან პრეისტორიული და რომაული საზოგადოებები ევროპაში, განსაკუთრებული ინტერესის სფეროს კი წარმოადგენს სოციალური იდენტობის, ადრეული ურბანიზაციისა და კონფლიქტების საკითხები არქეოლოგიაში.

მან ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა მასშტაბის ნაბიჯები გადადგა არქეოლოგიამ ადრეული ქალაქების ისტორიის საფუძვლიან შესწავლაში უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე და საზოგადოებას წარუდგინა ახალი, გამაოგნებელი აღმოჩენები, რომლებმაც მანამდე არსებული წარმოდგენები დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ლექციაზე დამსწრე მეცნიერებმა განიხილეს საქართველოს მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობა და მისი მნიშვნელობა ევრაზიის ურბანული განვითარების კონტექსტში. მათ ხაზი გაუსვეს გრძელვადიანი თანამშრომლობის აუცილებლობას და გაუზიარეს ერთმანეთს ახალი კვლევის ინიციატივები.

ლექციათა ციკლი ნეირომეცნიერებაზე

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონულ ცენტრს მიმდინარე წლის ოქტომბერში ეწვია ევროპის აკადემიის წევრი, ჯეჯანის ჩინური მედიცინის უნივერსიტეტის ტრანსლიაციური ნეირომეცნიერების საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ვლადიმირ პარპურა. იმავე პერიოდში, საქართველოში, ასევე, იმყოფებოდა ევროპის აკადემიის წევრი და ამავე აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი ზაალ კოკაია.

თბილისის რეგიონულმა ცენტრმა ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ორგანიზება გაუწია ნეირომეცნიერებისადმი მიძღვნილი ლექციების სერიას.

ასტროციტების მიერ გლუტამატის რეგულირებადი გამოყოფა ჯანმრთელობის და დაავადებების დროს” – პროფ. პარპურამ წარმოადგინა მტკიცებულებები, იმის შესახებ, რომ გლიური უჯრედების ქვეტიპს – ასტროციტებს შეუძლიათ გლუტამატის ეგზოციტური გამოყოფა და იმსჯელა იმაზე თუ როგორ ხდება ამ გამოყოფის რეგულირება. მან ასევე განიხილა ვეზიკულური შერწყმის დროსივრცითი მახასიათებლები, რომელიც არის ასტროციტების მიერ გლუტამატის გამოყოფის თანმხლები პროცესი. შეჯამების სახით კი წარმოადგინა ტრანსლიაციური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ასტროციტომა IV-ის, ტვინის მომაკვდინებელი სიმსივნის სამკურნალოდ ახალი მეთოდების დანერგვას.

ახშირბადის ნანომილაკები ასტროგლიის ტრანსლიაციურ კვლევაში” – პროფ. პარპურას აღნიშნული ლექცია ფოკუსირებული იყო ნახშირბადის ნანომილაკებზე (CNTs), რომლებიც იმედისმომცემი პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევიან ნეირობიოლოგიასა და ბიომედიცინაში. პროფ. პარპურამ განიხილა ქიმიურად ფუნქციური, კოლოიდურ ხსნარებად ან შრეებად გამოყენებული CNT-ების ეფექტები ასტროციტების მორფოლოგიურ და ფუნქციურ თვისებებზე, CNT-ების პოტენციური გამოყენების გათვალისწინებით ნეირო პროთეზირებაში, ასტროციტომა/გლიობლასტომას პრეკლინიკურ მკურნალობასა და ტრავმებით დაზიანებული ტვინის მკურნალობაში.

როგორ და რატომ უნდა შევქმნათ ახალი ოლიგოდენდროციტები? – პროფ. კოკაიამ ისაუბრა ოლიგოდენდროციტების შესახებ, რომლებიც არის ცენტრალური ნერვული სისტემის მიელინის მწარმოებელი სპეციალიზებული გლიური უჯრედები. მიელინი თავის მხრივ, წარმოადგენს საიზოლაციო გარსს, რომელიც ხელს უწყობს ნეირონებს შორის ელექტრონული სიგნალების სწრაფ და ეფექტურ გადაცემას. ახალი ოლიგოდენდროციტების მიღება ღეროვანი უჯრედების გამოყენებით მნიშვნელოვან იმედებს იძლევა თერაპიული ჩარევის თვალსაზრისით. ეს თერაპია შესაძლოა გახდეს დაკარგული ფუნქციების აღდგენისა და უკეთესი ფუნქციური აღდგენის საშუალება, როგორც ინსულტიანი, ისე გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისთვის.

პროფ. პარპურამ და პროფ. კოკაიამ ლექციებზე წარმოადგინეს თანამედროვე ნეირომეცნიერების უახლესი კვლევები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით ვითარდება მეცნიერება და მედიცინა. ლექციების შემდეგ გაიმართა აქტიური კითხვა-პასუხი და დისკუსია. მეცნიერებმა იმსჯელეს აღწერილი კვლევების რევოლუციურ შესაძლებლობებზე ნეირომეცნიერებასა და მედიცინაში. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებამ არამხოლოდ გააღრმავა დამსწრე საზოგადოების ცოდნა აღნიშნულ საკითხებში, არამედ ახალი თანამშრომლობების შესაძლებლობებზე მსჯელობასაც დაუდო საფუძველი. აღნიშნულმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ინტერდისციპლინარული კვლევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ნეირომეცნიერების სფეროში.

შეხვედრების სერია

2024 წლის 30 ივლისსა და 3 აგვისტოს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, KIU-GITA ინოვაციებისა და სტარტაპ აქსელერაციის საზაფხულო სკოლის ფარგლებში გაიმართა შეხვედრების სერია (მოიცავდა 9 მოხსენებას და ვიზიტს მუზეუმში): “ინოვაციები მეცნიერებაში და საქართველოს კონკურენტუნარიანი დარგები და მიმართულებები“.

ღონისძიების ფარგლებში, სტარტაპ აქსელერაციის საზაფხულო სკოლის მონაწილე სტუდენტებს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიური დირექტორის, პროფ. დავით ლორთქიფანიძის მოდერაციით, საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა დარგის წამყვანი მეცნიერებისგან მოესმინათ, თუ რა კავშირი არსებობს თანამედროვე ტექნოლოგებს, მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულებას, კულტურას, კლიმატის ცვლილებასა და სხვა თანამედროვე გამოწვევებს შორის.

კლიმატის ცვლილება და კულტურული მემკვიდრეობა – ბერლინის ეროვნული მუზეუმის რათგენის კვლევითი ლაბორატორიის დირექტორმა, პროფ. სტეფან სიმონმა იმსჯელა იმაზე, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას სამუზეუმო სფერო, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებისთვის შესაბამისი პირობების შექმნისას, კლიმატის ცვლილების ფონზე და როგორ ცდილობს გერმანია ამ გამოწვევებთან გამკლავებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება პალეო-ონტოლოგიაში, არქეოლოგიასა და კლინიკურ მედიცინაში – საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, პროფ. ანი მარგველაშვილმა სტუდენტებს მოუთხრო ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ისეთ მომიჯნავე მეცნიერებებში, როგორიცა პალეონტოლოგია, არქეოლოგია და კლინიკური მედიცინაა 1.8 მილიონი წლით დათარიღებული დმანისის არქეოლოგიური ძეგლისა და იქ აღმოჩენილი ჰომინინების მაგალითზე.

პალეონტოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები – ფლორენციის უნივერსიტეტეტის პროფესორი, ხერხემლიანთა პალეონტოლოგი ლორენცო რუკი სტუდენტებს პალეონტოლოგიასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ესაუბრა, მან დმანისელ ძაღლისებრთა ოჯახის წარმომადგენლებზე ილაპა-

რაკა და სტუდენტებს 1.8 მილიონი წლის წინანდელი, თანამედროვე ტექნოლოგიებით შესწავლილი, ხუთი იდეალურად შემონახული თავის ქალის გამოსახულება აჩვენა.

წარსულისა და ახალი ტექნოლოგიების კავშირი: თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ბრინჯაოს ხანის რაბათის ნამოსახლარის კვლევის საქმეში – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, დოქ. გიორგი ბედიანაშვილმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის, ბრინჯაოს ხანის შესწავლის პროცესში სამცხე-ჯავახეთში, რაბათის ტერიტორიაზე არსებული ბრინ-ჯაოს ხანის ნამოსახლარის შესწავლის მაგალითზე.

ინოვაციები და თანამედროვე ტექნოლოგიების ნეირომეცნიერებაში – ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორმა ზაალ კოკაიამ ისაუბრა გენური ინჟინერიის, უჯრედული რეპროგრამირებისა, თუ დაავადების მოდელირებისთვის მიკროფლუიდური ჩიპების გამოყენების შესახებ ნეირომეცნიერებაში.

თანამედროვე ტექნოლოგიები კლინიკურ ნევროლოგიაში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ სტუდენტებს გაუზიარა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ, თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაგალითად, თრომბის დასაშლელად და სისხლძარღვიდან გამოსატანად, ან კი დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად, რაც სრულად გამოჯანმრთელების შანსს ზრდის.

წინ წარსულისკენ: წარსულში დაბრუნება, როგორც მომავალი ტექნოლოგიური სიახლეების გასაღები – პარიზის პასტერის ინსტიტუტის საპატიო პროფესორმა, ვირუსოლოგმა დავით ფრანგიშვილმა სტუდენტები მიკრობების ვირუსების სამყაროსა და დროში ამოგზაურა და მოუთხრო თუ, როგორ შეიძლება იქცნენ ისინი ტექნოლოგიური სიახლეების წყაროდ. პროფ. დავით ფრანგიშვილმა ისაუბრა ფაგების მომავალზეც, რომლებსაც საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს და რომლებიც 2023 წელს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დასახელდა ათ ყველაზე პერსპექტიულ მომავლის ტექნოლოგიას შორის.

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ადამიანის უფლებები სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლადო ჭანტურიამ, როგორც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლემ სტუდენტებს გაუზიარა საინტერესო მაგალითები სტრასბურგის სასამართლოდან და ისაუბრა ინფორმაციული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალში.

მემკვიდრეობა როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის გასაღები – პროფ. დავით ლორთქიფანიძემ და ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს პრეზიდენტმა, დოქ. მამუკა წერეთელმა ერთობლივი მოხსენება წარმოადგინეს და იმსჯელეს საქართველოზე, როგორც იდეალურ ადგილზე, ბუნებრივი და კულტურული განვითარების, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო კვლევის, მემკვიდრეობის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის ჯერ კიდევ შეუსწავლელი სტრატეგიული კავშირების გამოსავლენად, რაც საბოლოოდ ადამიანების კეთილდღეობის მდგრად გაუმჯობესებას მოიტანს შედეგად.

საზაფხულო სკოლის სტუდენტებმა ღონისძიების ფარგლებში მოინახულეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმი, რომელმაც 2023 წელს მიიღო სილეტოს პრესტიჟული პრიზი „საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობისთვის.“ მუზეუმში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ პარალელი გაევლოთ კულტურული მემკვიდრეობის კომუნიკაციის ფორმებსა და თანამედროვე ტექნოლოგიას შორის.

საერთაშორისო სემინარები

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი ხელს უწყობს პროფესიონალებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებების პროცესს საერთაშორისო სემინარების ორგანიზებითაც. ამ ტიპის სამუშაო შეხვედრები მნიშვნელოვანია საერთაშორიო პროფესიული ქსელის განვითარებისა და სამომავლო თანამშრომლობების თვალსაზრისით

მიმდინარე წლის 7 და 8 მაისს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენ-ტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრო-მლობით ჩატარდა ორდღიანი საერთაშორისო სემინარი: „კვებითი აშლილობების კლინიკური სერვისის საჭიროება საქართველოში". ღონისძიება დაიგეგმა ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრის, ლონდონის სამეფო კოლეჯის მოცლის საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკურ-ექსპერიმენტული ლაბო-რატორიისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სამსახურის ხელ-მძღვანელის, კლინიკური ფსიქოლოგისა და ლონდონის სამეფო კოლეჯის პროფესორის, ქეთევან ჭანტურიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით, პროფესორ თამარ გაგოშიძის ხელმძღვანელობით.

ორდღიანი პროგრამის მანძილზე სემინარის მონაწილეებმა იმსჯელეს იმაზე, თუ რა არის კვებითი აშლილობა, როგორ უნდა მოხდეს კვებითი აშლილობების იდენტიფიკაცია, როგორია კვებითი აშლილობების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რისკები, კვებითი აშლილობების ეფექტური სერვისი, კვებითი აშლილობის ადრეული ინტერვენცია და ა.შ. მათ განიხილეს თუ ვინ არიან მკურნალი კლინიცისტები და რა ესაჭიროებათ მათ ეფექტური მკურნალობისთვის.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საკითხით დაინტერესებულმა იმ ქართველმა პროფესიონალებმა, რომელთა პრაქტიკაც დაკავშირებულია კვებითი აშლილობის მართვასთან და რომლებიც დაინტერესებული არიან აღნიშნული სერვისების საქართველოში შემდგომ განვითარებასა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში.

2024 წლის 3 და 4 დეკემბერს ჩატარდა ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ICOM-MPR-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს მარკეტინგისა და კომუნიკაციის საერთაშორისო კომიტეტი) და ICOM-საქართველოს (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი) ერთობლივი, საერთაშორისო ვორქშოფი სახელწოდებით „მუზეუმში ყველაფერი გვიყვება ამბავს“.

ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო ოცმა პროფესიონალმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო მას უძღვებოდნენ ICOM-MPR-ის საბჭოს წევრი, ბრენდინგის, დიზაინისა და კომუნიკაციის კონსულტანტი, ლუის მარსელო მენდესი და ICOM-MPR-ის საბჭოს წევრი და ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ნათია ხულუზაური.

ვრქშოფის ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი გახლდათ სამეცნიერო კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციების მიმოხილვა და მათზე მსჯელობა. ღონისძიების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამეცნიერო ცოდნის გავრცელებისა და პოპულარიზაციის მეთოდების განხილვას.

2024 წლის 9 დეკემბერს, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ლეიბნიცის კავკასიის ბიომრავალფეროვნების ცენტრისა (გერმანია) და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობის ფარგლებში ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი „ბიოკულტურული მრავალფეროვნების ევოლუცია და შავი ზღვის მომავალი“. სემინარში მონაწილეობის მისაღებად გერმანიიდან და ისრაელიდან ჩამოვიდნენ მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ რეგიონის ბიოლოგიურ და კულტურულ ევოლუციასა თუ ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ღონისძიებაზე მეცნიერებმა იმსჯელეს კლიმატის ცვლილების ფონზე დღეს არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზებზე ინტერდისციპლინურ მიდგომითა და მეცნიერებაში თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხერხით. აღნიშნული კონფერენცია გახლდათ ერთგვარი გაგრძელება გაეროს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციაზე (COP29) განხილული თემატიკისა, მეტი კონცენტრაციით კონკრეტულად შავი ზღვის რეგიონზე.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიურმა დირექტორმა, აკად. დავით ლორთქიფანიძემ მონაწილე მეცნიერებს წარუდგინა რეგიონში, ბიოკულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და მდგომარეობის შესახებ არსებული მდგომარეობა და გააცნო პრობლემების გადაჭრის მისეული ხედვა, რომელიც გულისხმობს, როგორც სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და ქმედით ნაბიჯებს, სწორედ ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ჩართულობით.

საერთაშორისო კონფერენციები

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. საერთაშორისო კონფერენციები ხელს უწყობს საქართველოს წარმოჩენას საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე და წარმოადგენს ახალი საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველს.

2024 წლის 20-23 ნოემბერს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიური დირექტორი, აკად. დავით ლორთქიფანიძე იმყოფებოდა გაეროს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციაზე (ჩიორ29), რომელიც 11-იდან 22 ნოემბრის ჩათვლით იმართებოდა ბაქოში, აზერბაიჯანში.

აღნიშნულ კონფერენციაში, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონულმა ცენტრმა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, 21-22 ნოემბერს, მონაწილეობა მიიღო გამოფენით "პონტო-კასპიის ბიოკულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა".

21 ნოემბერს, ჩატარდა აკად. დავით ლორთქიფანიძის ლექცია და გაიმართა სამეცნიერო დისკუსია თემით: "ბიოკულტურული მემკვიდრეობა მომავლისთვის: წარსულის გააზრება კლიმატური მედეგობისთვის".

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობამ დასახა ახალი სამეცნიერო თანამშრომლობის გზები ჩვენს აზერბაიჯანელ და ევროპელ პარტნიორებთან ერთად, რომელმაც შავი ზღვის ბიოკულტურული მრავალფეროვნების შესწავლისა და შენარჩუნებისთვის შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობაც შეიძინოს.

2024 წლის 25-29 ნოემბერს, ვროცლავის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში (პოლონეთი) ჩატარდა ევროპის აკადემიის 35-ე ყოველწლიური კონფერენცია სახელწოდებით: „ხიდების შენება, 2024“. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნათია ხულუზაურმა.

კერძოდ, 26 ნოემბერს ჩატარდა ევროპის აკადემიის წევრებისა და ამავე აკადემიის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობების გენერალური ასამბლეა, სადაც ნათია ხულუზაურმა წარადგინა თბილისის რეგიონული ცენტრის მიერ 2024 წელს ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, ხოლო მომდევნო დღეს, მონაწილეობა მიიღო სპეციალურად ცენტრებისთვის ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, სადაც დეტალურად იქნა განხილული, როგორც აკადემიის, ასევე კონკრეტულად ცენტრების სამომავლო გეგმები, თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები და შემუშავდა გუნდური სტრატეგია საერთო მიზნების მისაღწევად.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა კონფერენციის დღეებში აკადემიის წევრ მეცნიერებთან განიხილა თბილისის რეგიონულ ცენტრთან მათი თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.



2024 წლის 4–7 დეკემბერს, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის, ICOM-MPR-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს მარკეტინგისა და კომუნიკაციის საერთაშორისო კომიტეტი), ICOM-საქართველოსა (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი) და თბილისის მუზეუმების გაერთიანების თანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „მუზეუმის კომუნიკაცია გზაჯვარედინზე".

კონფერენცია გაიხსნა ევროპის აკადემიის რეგიონული ცენტრის აკადემიური დირექტორის, აკად. დავით ლორთქიფანიძის მთავარი მოხსენებით, რომლის დროსაც მან ისაუბრა ქვეყნის ბიოკლუტურული მემკვიდრეობაზე და ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ სამეცნიერო კვლევებზე. მან ასევე განიხილა, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ კვლევებზე დაფუძნებით ქვეყნისა და მისი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.
ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნათია ხულუზაური იყო როგორც მთავარი მოხსენების ასევე, სამეცნიერო პანელური დისკუსიის მოდერატორი, რომლის დროსაც განხილული იქნა სამეცნიერო-პოპულარული კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდები და კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელების გზები კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ასამდე დელეგატმა, ხოლო საზოგადოების წინაშე სიტყვით წარსდგა 40 მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ICOM-ის საერთაშორისო კომიტეტების მიერ გამართული ყოველწლიური კონფერენციები მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს კულტურისა და მეცნიერებით ამა თუ იმ მიმართულების პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და უახლესი მეთოდებისა და ტენდენციების გაცნობის თვალსაზრისით. ICOM MPR-ის 2024 წლის ყოველწლიური კონფერენციის თბილისში ჩატარება, სადაც თავი მოიყარეს სამეცნიერო-კულტურული კომუნიკაციის მიმართულების უმაღლესი რანგის პროფესიონალებმა პრესტიჟული და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოსთვის.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი გახლდათ საინფორმაციო მხარდამჭერი 2024 წლის 23-25 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა "ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა – დიგიტალიზაცია და ხელოვნური ინტელექტი სამედიცინო განათლებასა და მეცნიერებაში".
აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მსოფლიოს 12 ქვეყნიდან.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისათვის, მათ შორის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის და სტუდენტებისათვის საერთაშორისო ცოდნის და გამოცდილების გაზიარება სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკულ ჯანდაცვაში ხელოვნური ინტელექტის და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით მიღწეული შედეგების თაობაზე.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა დისკუსიები სამედიცინო განათლების, მეცნიერებისა და სერვისების მიწოდების სფეროებში ციფრული პროცესებისა და ინსტრუმენტების დანერგვასთან დაკავშირებით, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

პუბლიკაცია

2020 წელს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ინიციატივით დაიწყო პროექტი „გელათის აკადემია – მეცნიერებისა და განათლების უძველესი კერა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“. პროექტის მთავარი მიზანია გააცნოს ფართო საერთაშორისო საზოგადოებას გელათის აკადემია, როგორც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი.

პროექტის ფარგლებში თბილისის რეგიონულმა ცენტრმა 2023 წლის 28 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰიბრიდული სახით ჩაატარა ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია „გელათის აკადემია – მისი ეპოქა და მემკვიდრეობა“.

2024 წელს კი ფაქტობრივად დასრულდა მუშობა პუბლიკაციაზე “გელათი – დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა”, რომლის რედაქტორი გახლავთ ევროპის აკადემიის წევრი და ამავე აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, თსუ-ს პროფესორი ზაზა სხირტლაძე.

აღნიშნული პუბლიკაციის საზოგადოებისთვის წარდგენა იგეგმება 2025 წლის პირველ კვარტალში.



მეცნიერების პოპულარიზაცია

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მეცნიერების პოპულარიზაცია და უახლესი სამეცნიერო მიღწევების ფართო საზოგადოებისთვის გაზიარება. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრი თანამშრომლობს საქართველოში არსებულ წამყვან მედიაკომპანიებთან, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ჟურნალისტური სტანდარტით და მიზნებითა და ამოცანებით თანხვედრაში მოდიან ცენტრის მიზნებთან და ამოცანებთან.

ეს მედიებია: National Geographic Magazine - საქართველო, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და Euro News-ის საქართველოს წარმომადგენლობა. ცენტრი მუდმივად აწვდის ინფორმაციას აღნიშნულ მედიებს მეცნიერებაში მიმდინარე სიახლეებისა და მის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიური დირექტორი, პროფ. დავით ლორთქიფანიძე უძღვება სამეცნიერო-პოპულარულ პროექტს „ექსპონატით მოთხრობილი ისტორია“, რომელიც National Geogprahic Magazine - საქართველოში იბეჭდება როგორც საავტორო რუბრიკა, ხოლო საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით ხდება მისი სატელევიზიო- და რადიოვერსიებზე ადაპტირება.

ამასთანავე, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი National Geographic Magazine - საქართველოსთან თანამშრომლობს საჯარო ლექციების ორგანიზების მიმართულებითაც.

თანამშრომლობა

2024 წელს ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონულმა ცენტრმა ითანამშრომლა შემდეგ ინსტიტუციებთან:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კიუ)
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი
- ინოვაციებისა და სტარტაპ აქსელერაციის საზაფხულო სკოლა
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი
- თბილისის მუზეუმების გაერთიანება
- საზოგადოება "ივერიისა"
- გოეთეს ინსტიტუტი თბილისში
- ICOM (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო)
- ICOM MPR (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს მარკეტინგისა და კომუნიკაციის საერთაშორისო კომიტეტი);
- გაეროს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი COP 29;
- საერთო პროგრამული ინიციატივა კულტურულ მემკვიდრეობასა და გლობალურ ცვლილებებზე, ევროკავშირის პარტნიორობა (Joint Programming Initiative (JPI) on Cultural Heritage and Global Change (EU Commission));
- მედეგი კულტურული მემკვიდრეობის პარტნიორობა (Resilient Cultural Heritage (RCH) Partnership), ევროკავშირის პარტნიორობა (EU Partnership);
- რევინდის ინიციატივა (Rewind Initiative)